

Khatuna Chanishvili

ხათუნა ჭანიშვილი

Caucasus University

კავკასიის უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Boarder Between Poetry and Journalism as a Reflection of the Old and Nitification of the New

(according to the first issue of the newspaper “Georgia” for 1918)

პოეტურისა და პუბლიცისტურის ზღვარი როგორც ძველის ანარეკლი და ახლის უწყება

(გაზეთი „საქართველო“ 1918 წლის პირველი ნომრის მიხედვით)

First issue of the newspaper “Sakartvelo” in 1918 includes contemplative poetic texts, against the background of which the publications acquire logical content, adding completeness to the newspaper. It seems that time and main century concepts are limited to description of poetic and publicist spirit movements building Georgian national identity. Authors have identified key accents characteristic to universal, Georgian-European civilization and took them as organic basis for live thinking process. Authors’ thought reflects main modus of being human that is established as the basis for Georgian publicist literature of three-year freedom period while for us, the contemporaries – as undoubted life experience.

Keywords: Poetry, publicistics, newspaper “Sakartvelo”

საკვანძო სიტყვები: პოეზია, პუბლიცისტიკა, გაზეთი „საქართველო“

გაზეთი „საქართველო“ 1918 წლის პირველ იანვარს, ორშაბათს მეოთხე გვერდს იმ პოეტური მასალით დაასრულებს, სადაც პუბლიკაციებით და პოეტური მასალით ჩაწერილი და შეკუმშულია ქართული ისტორიის, იდენტობის მთავარი სააზროვნო ველი. აღნიშნული საგაზეთო ნომერი, შესაძლოა, ჩვენთვის ახალ სააზროვნო გზავნილად გაცხადდეს 106 წლის თავზე, ვინაიდან თემატიკა და სტრუქტურა, ჩვენი დაკვირვებით, ზუსტად ასახავს და ასახავდა რეალობას. სწორედ რეალობის აღქმის, მოხელთებისა და ახალ სათქმელად გადაქცევის უნარია ის მთავარი ხელსაწყო, ჩვენთვის, ახლანდელთებისთვისაც რომ ახლოობს. 1918 წლის 26 მაისამდე 145 დღე იყო დარჩენილი. საქართველოში თავისუფლების სამწლიანი ლანდი ჩამომდგარიყო და მიძინებულ, ძველი ისტორიული ცხოვრებით სუნთქვამოსაბრუნებელ, დაღლილ ხალხს კვლავ შეახსენა, რომ ის აქ არის. მის იქ ყოფნას კი როგორც ჩანს, მსოფლიო პოლიტიკური ძვრები უფრო განაპირობებდა, ვიდრე ქართველთა გააზრებული განსჯანი და ქმედებანი. ამ აზრს გაზეთის აღნიშნულ ნომერზე, როგორც შეკუმშულ დროისა და სივრცის ანარეკლზე დაკვირვებაც გვიდასტურებს.

პირველი იანვრის ნომერი ჩვენთვის პუბლიცისტურისა და პოეტურის ზღვარის დანახვა და აღმოჩენაა, როგორც უხილავი, შინაგანი, ყველაზე ცოცხალი დიალოგის ნიშანი. დიალოგისა, რომლის მნიშვნელობის გააზრება გვაიძულებს სუფთად ამოვიკითხოთ ის მთავარი შინაარსი, რაც ყვე-

ლაზე მტკივნეულ და გადასაჭრელ ამოცანად ჩანდა და ახლაც ჩანს, აქ გვხვდება ისტორია, ღირებულება, ლექსი, სამშობლო, პოლიტიკა, სიყვარული, ლეგენდა. თითქოს ნიშანთა იმ სისტემამ მოიყარა თავი, თავად რომ მიიხმობს შესახვედრად მკითხველს. მკითხველს, რომელიც საუკუნის თავზეც გზააბნეული დაღაცელებს თითქოს უფრო დიდი

ლანდების კვალად, რადგან თეორიულად თავისუფალია, მაგრამ თითქოს ვერ სუნთქავს მას, დამოუკიდებელია, მაგრამ ვერ ცხოვრობს თავს. ისევ ჩამომდგარა უსაშველოდ მომლოდინე საიდანმე შემოქროლილი, ძღვნად მიღებული და არა საკუთარ თავში ნავარჯიშევი, ღირსების განმცდელი რეალობის მისაღებად. იქ და აქ არის მხოლოდ სპექტაკლი. სპექტაკლი არა როგორც სამხრეთული კულტურის მახასიათებელი ცოცხალი ყოველდღიურობის იმპროვიზაციის ნაწილი, არამედ, როგორც ჩაკეტილი სივრცე, სადაც ფარდა გახუნებულია, დარბაზი მტვრიანი, მაყურებელი მთვლემარე, რეჟისორი უინტერესო, მხატვარი ზნესუსტი. მალფუჭებადი მასალით მყარი დეკორაციის აგების უტოპიური იდეით შეპყრობილი. მაგრამ აქ სხვა პრობლემაცაა. აქ აქამდე უცნობი თეატრალური დასი გამოკეტილა სადღაც გაურკვეველ ალაგას, სადაც ზღვარი მოშლილია ნამდვილსა და ზღაპრულს შორის. ზღაპრულს, რომელიც თავის თავში მაინც ინახავს კეთილ დასასრულს, რომელიც არ ჩანს, შორეთშია. ჩვენი მიზანი კი სწორედ ამ კეთილ დასასრულთან მიახლოების მცდელობაა, გზის გაკვალვის მცდელობა ტექსტებში მაინც, სადაც იმ ხალხის ნააზრევია, რეალობას რომ წუთითაც არ დაშორებულან. იქნებ მათთან მიახლოებამ გამოაჩინოს თემშარანი.

თავისუფლების მიღების წლის პირველი საგაზეთო ნომრისთვის შერჩეულ პოეტურ ნაფიქრალში არ იკითხება ნაგულისხმევი მოლოდინი. აქ უფრო აზროვნების საფეხურებია გავლილი თუ ავლილ-ჩავლილი. ვალერიან გაფრინდაშვილი „სურნელოვან სარკეში“ სარკის დაისების ოცნებაა გაფენილი და სულის ბროლის სერაბიმთან გადყრისა. ეს არის დრო, როცა თვალები ივიწყებენ ცის შუშაბანდებს და სურნელება გრძნეულ ქალაქთა სანახავად ფიქრს ამოქმედებს, რაც საბოლოოდ ფარხმარდაყრილს ეიმედება:

„მე ისევ ვეტრფი ორეულთა სასტიკ მყინვარებს,
რომ აჩრდილების მოვისმინო თეთრი ბრძანება“ .

(გაფრინდაშვილი, 1918, გვ. 4)

გრძნეულ ქალაქებზე ფიქრი, რომელიც მოქმედია, მოაზროვნე პოეტს აიძულებს დამორჩილდეს იმ დროს, სადაც ცა დავიწყებულია, დავიწყებულია ხაგრძლივად, ეპოქალურად. სერაბიმები კი სულ დაემებენ სულს, სულს, რომელთაც შესწევთ ძალა მათზე ფიქრისა. სწორედ ეს ფიქრი გადაარჩენს პოეტს, რომელსაც საუკუნის თავზე მიაკითხავს ერთი ვინმე და სთხოვს საჩუქრად უსახსოვროს ნამდვილი და ტკივილიანი გამოცდილება, თუ როგორ ხდება დროში დარჩენა, დროში, რომელიც სულ მოითხოვს ახალ სიმბოლოს თუ ახალ ცისფერყანწელს, რომელიც მთელი არსებით გრძნობს სასტიკ მყინვართა გარდუვალობას, რასაც აჩრდილთა ბრძანება მოსდევს. ეპოქალური, პოლიტიკური მძიმე სული ლანდად კრავს პოეტურ სათქმელს, რომელის გამოსავალი მხოლოდ ლექსად დარჩენაშია და ეს უდაო გამოსავალია, შემნახავი, გადამრჩენელი. გაზეთის მთავარი რედაქტორის გრიგოლ ვეშაპელის საახალწლო მილოცვაც ამ ხაზზე სუნთქავს. ისიც გადარჩენას ლამობს, მხოლოდ პუბლიცისტის ხმითა და ფიქრით. „*ნუ ვუსურვებთ ერთმანეთს პირადად ნურც ბედნიერებას, ნურც დღეგრძელობას. აღსრულდეს აღსასრულებელი*“ (ვეშაპელი, 1918, გვ. 1). რადგან უკან 1917 წელი იყო. სისხლიანი და კიდეც გაგრძელება იქნება// იყო. „*დღეს საქართველო იმ გმირსა ჰგავს, მარჯვნივ წახვალ თუ მარცხნივ, სულღერთია დაღუპვას იმუქრება*“ (ვეშაპელი, 1918, გვ.1). შორსმჭვრეტელია გრიგოლ ვეშაპელი. მისი სამხერი ჰორიზონტებითაა შემოსილი და ვერც ინტუიციურად ვერ ჭვრეტს მოახლოებულ თავისუფლებას, რადგან ცივი გონებით იცის კონტექსტი, რასაც მისი ქვეყანა ვერ გადურჩება. იცის გონებით, სულით. იცის რეალობა და იმ მაყურებელთა მტვრიანი დარბაზიდან გარეთ გადის. გარეთ, სადაც რეალობა თავისთავადია. წამკითხავს ელის. ეპოქას, სარკეს, რევოლუციის აჩრდილებს, თან სერა-

ბიძთა ძალისხმევას სწეული სიფხიზლით დაადგენს ნამდვილს, რეალურს და ამიტომ ამბობს: „საქართველოს დიდება ჯერ კიდევ შორეა“ (ვეშაპელი, 1918, გვ.1). ვინ იცის რა დროს ინახავს სიტყვა „შორეა“. ჩვენი ფიქრით, ეს სიშორე მაშინ შემოკლდება, თუ ამ ტექტებში არსებულ გამოცდილებას ჩვენად გარდავექმნით და სინამდვილის წაკითხვას შევძლებთ. არ მოვუდუნდებით ნამდვილი ფიქრის სიმძაფრეს. თუმცა წერილის ფინალი მართლაც ზღაპრულია. ისეთი, როგორც ქართველის გზა. ავტორი პლატონ იოსელიანის, როგორც თავად აღნიშნავს, მესიანისტურ სიტყვას იხსენებს და ზღაპრულ დასასრულს ქმნის ასე: „ქართველთა გამოსწოვნეს ტვინი სპარსთა, და რომელთა, შეჭამეს ბიზანტია და თვით დარჩნენ შეუჭმელად...ესეთი არს თვისება და ხასიათი ქართველთა ნათესავისა, ძველისა კაცთა ნათესავთა შორისო“ (ვეშაპელი, 1918, გვ. 1). ზღაპარი, რომელიც შინ მშვიდობით აბრუნებს გმირს, ერთი აუცილებლობათაა განპირობებული: გმირი უნდა ხედავდეს ისე, როგორც შემოქმედი. მას უნდა ჰგავდეს, შეცდომა არ უნდა დაუშვას. ამიტომაც სპექტაკლის ჩაშლა აუცილებელი და ნამდვილ ცხოვრების სცენაზე გადმონაცვლება, სადც მტვერი გადაიწმინდება და თოვლიც მოდის, სუფთა, იისფერი...

ტიტე ტაბიძის „ბალაგანის მეფე“ იმ ღმერთს განდგომილი კაცის მრუდე ტკივილის გადმომცემია, ჰაერშიც რომ შეიგრძნობოდა, ოღონდ ვისაც ჰაერის შეგრძნება შეეძლო, ვინც გარეთ იყო და არა თავის მოდერნულ ნაჭუჭში ჩასმული, სადაც სპექტაკლს მართლაც საკუთარი თავის გარდა არაფერი სურს, სადაც ცრუ დასახლებები და სასაცილო ინიციატივების უგემოვნო მასკარადია, სადაც სისხლი უსათუოდ იღვრება. ამ აზრის პოეტურად განმცდელია ტიტე ტაბიძე და საკუთარი თავის თუ მთელის ბალაგანის მეფედ გამგები. „*მე ძველი მახსოვს ალთქმები წმინდა და დავიწყებულ ღმერთს ვევედრები*“ (ტაბიძე, 1918, გვ. 4). თუმცა ვედრება ღონემიხდილთა ნებაა მხოლოდ მისუსტებული. გაქცეული დრო ისე შორსაა, ვერ დაეწევა პოეტი და სხვა რაღა თქვას, თუ მოიმოქმედოს, თუ არა ლექსი, რომელიც მის ხმას და სულის სურათს გაზეთის ფურცელს მიანდობს. დრო გავა და ის ისევ ისუნთქს, როგორც პოეტი ახალი დროის, უფრო მეტიც, შეეწევა, ახალი მედიების ღვარცოფში სულ უფრო მეტად ჩაკარგულ ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავი ბოლომდე დავიწყებია. მაგრამ ძველების ფიქრად ქცეული პოეტური ამბავი ბალაგანის მეფისა თავისი სევდით ცოცხლობს სწორედ და გადარჩენილია ჩვენთვის, რომ გვითხრას:

„და ბალაგანის მოკვდები მეფედ,
რადაც მეფური იყო ჩემს სულში,
დაგვიანებულ ხმით შემიერთეთ
თქვენ, ვინც მღეროდით ღმერთზე წარსულში“.
(ტაბიძე, 1918, გვ. 4)

ღმერთი შორსაა, ჭეშმარიტებაც, მასზე მსჯელობის შესაძლებლობაც. ამიტომ ერთი გზისგამკვალავი მხოლოდ ხიდია დროის მიერ გადებული, საუკუნოვანი, ძველი, თუმცა შეუმჩნეველი, ნისლში ჩაკარგული. ეს ხიდი ჩვენთვის ნისლების გვერდით ცნაურდება, თუკი ვეცდებით მათში გავლას, დანამული სუფთა ჰაერით გაშლილი სივრცე აღმოჩნდება ჩვენთვის გადანახული ამჯერად პოეტური სიტყვის სახით.

თითქოს გვიხმობს საკუთარ ნამდვილ გამოცდილებასთან საზიარებლად და მზა საფეხურად, ასავლელად. ოღონდ გამოვჩნდეთ. ამ გზაზე ერთი პუბლიკაციაც წამოგვწეწევა, სათაურით „მცინარე“. ავტორი დავით კასრაძე, ღმერთთან მომლოდინედ ჩნდება. ცდილობს გაარკვიოს ანდაზის „კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდას“ საზრისი. ავტორმა დიალოგის ფორმა აირჩია და ხმა-მაღალ ფიქრად იქცა იქაც და აქაც. ფიქრად, რომელიც ერთი შეხედვით მისტიკურ ჭრას ჰგავს და დაბრუნებული საბოლოოდ ამბობს, რომ „ისიც იტანჯება ჩვენი ტანჯვით, იწვის ჩვენი საცოდაობით“ (კასრაძე, 1918, გვ. 4). და აქ სამართლიანად უნდა გაგვახსენდეს, რომ ღმერთსაც სჭირდება ადამიანის მხარდაჭერა. შეიძლება მეტად ნაივურად თქმაც, -მასაც უხარია. ასე კარგავენ დაემებენ შემოქმედს გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის პირველ ნომერში, ძველი გაზეთი გადახუნებულ

გვერდებზე, სადაც ყველაზე მძაფრად შეიგრძნობა რეალობა, სადაც სპექტაკლი, როგორც უსულო, მტვრიანი სივრცე და ყველაფერი ხელოვნური, დამარცხებულია. ამის უტყუარი ნიშანი ჩვენი ფიქრის სიმძაფრეცაა, სადაც ყველაზე ცხადად ჩანს ხიდი, რომელიც საუკუნეს ითვლის და ჩვენთვისვე გადებულია. აქ ვალის გადახდის დრო დგება ხიდთან მიახლოება მხოლოდ მათთვისაა ნებადართული, ვინც ნამდვილად ცხოვრობს. ნამდვილად ცხოვრების საზომი კი ამავე გაზეთის ერთი პუბლიკაციის მიხედვითაც დგინდება, რომლის სათაურია „მძლეობამდლე დამარცხდა“. ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის შესახებაა, თუ როგორ შეარჩია არასწორი ადგილი დასაბინავებლად და როგორ დატბორა სამეფო სივრცე მიწისქვეშა წყალმა. ეს ლეგენდაც ღმერთდავიწყებულ მეფეზე გვიყვება, რომელიც თან რეალობასაც დაშორებია. მან მაშინ მხოლოდ საკუთარი თავი იცოდა, ნამდვილ ცხოვრებას კი ასცდა, საკუთარ თავში დამპყრობელი უფრო აცხოვრა და ბუნებისგან ენიშნა, რომ დავიწყება შესაძლოა ადამიანური თვისებაა, მაგრამ გახსენება თუ დაკარგული დროის პოვნაც ხელეწიფება მას, ადამიანს მაკედონელს, „საქართველოს“ რედაქტორს გრიგოლ ვეშაპელსა თუ ჩვენ, სპექტაკლის საზოგადოების ერთგულ ხალხს, რომელთათვისაც გახსენება საკუთარი ვინაობისა დღეს უპირველეს ვალდებულებად გვიცხადდება. „ახალ იმედით გავაღებ კარებს, ყოველდღე ველი მე ფოსტალიონს“ (დადიანი, 1918, გვ. 4).

ეს გახლავთ ამონარიდი ბოლო ლექსისა, რომელიც გაზეთის ლოგიკურ დასასრულად ჩნდება. მოლოდინი და იმედია ახალი ადამიანის საყრდენი. 1917 წელი უკვე იყო. საქართველოს კი წინ მოულოდნელი დამოუკიდებლობის, დამოუკიდებლობის სამი წელი ელის. რის უწყებას მოიტანს ფოსტალიონი ავტორმა ჯერ არ იცის, თუმცა აქედან შეგვიძლია ვიკითხოთ, დღესაც იმავე იმედით ხომ არ მყოფობს საზოგადოების ნაწილი. კვლავ ფოსტალიონის უწყების და არა საკუთარ თავად, ძალისხმევად ცხოვრების ნამდვილ უწყებად, რომელიც დროშიც შენიშნული და აღსაქმელი იქნება. ზოგისთვის ისევე ბინდია და გზებიც დაბურული. აქ შეუძლებელია გვერდი ავუქციოთ სიმონ ქვარიანის პუბლიკაციას „ზეციერ ასულს“, სადაც ეპოქის სურათხატია აღწერილი. თითქოს უცნაურია, რომ საახალწლო, პირველი იანვრის ნომერში ამოვიკითხავთ შემდეგს:

„აჰა გაისმა ხმა უცნაური, ხმა საზარელი, ხმა საშინელი. კვლავ იჭედება ხალხთ ბორკილები, კვლავ იწნება მათრახი მათთვის, კვლავ მზადდება საპყრობილენი. ამ დროს კი აღვირახსნილი ბრბო ღმუის მახვილით ხელში, ღმუის არყით და სისხლით მთლად გაღეშილი. და ბრბოს წინაშე ფერხულს უვლის სიკვდილის ლანდი. ცეკვავს, ტრიალებს უცნაურად, წითლად იცინის... ბნელდება ირგვლივ“ (ქვარიანი, 1918, გვ. 4).

ძნელია დაიჯერო, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მალე დამოუკიდებლობას იზიებებენ საპირველიანვრო გაზეთი ასეთი პათოსით ხმაურობს. ჩვენ მხოლოდ შემდეგს ვიტყვით: სპექტაკლი, როგორც რეალობის ჩამნაცვლებელი, იმდენად ვირტუოზულად თამაშდება, რომ სარკასტულ სარკეებს აყენებს ირგვლივ. ხალხი იყურება, მაგრამ ვერფერს ხედავს ნამდვილს, რადგან გონება აცდენილია რეალობას. ირონიაა განგების, რომ საუკუნეების ნანატრი დამოუკიდებლობა თავს დაგვატყდება ისე, რომ ამას ცოცხლად ვედარავინ აღიქვამს. შემთხვევითი არც ისაა, რომ ამავე ნომერში „საახალწლო მილოცვა“, რომლის ავტორია ჩიორა, კვლავ ბაზალეთის ტბის გმირს ნატრობს: „აი, ეს იმედი და სასოება ამშვენებს მკითხველო ჩემს საახალწლო, სამეკვლეო ხონჩას“ (ჩიორა, 1918, გვ. 4).

ჩვენი ხედვით, სრულიად მწყობრად გვიამბობს 1918 წლის პირველი იანვრის ნომერი იმდროინდელ და დღევანდელ ქვეყანაზე, ქართველების ქვეყანაზე, სადაც ბაზალეთის ტბის გმირის მითი კვლავ აქტუალურია და საიდან გამოგვეცხდება არავინ იცის. მთავარია მოლოდინი, უსასრულო, დაუსაზამო და უსასრულო ლოდინი გოდოს ბეკეტისეული, თუ ვაჟას მთების?

გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის პირველი იანვრის ნომერში შეკუმშული დრო იქ და აქ მყოფობს, როგორც უძრავი რამ და დიახ, რაც იყო, ის არის და რაც არის, იქნება? ბაზალეთის ტბის გმირს საღათას ძილით ჩასძინებია. თითქოს არავინაა, ვინც მის გაღვიძებას ეცდება. კვლავ ლოდინი, უსასრულო ლოდინია.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზეთი საქართველო, (1918). 1.

ტაბიძე, ნ. (2011). პუბლიცისტიკის საკითხები, თბილისი: „უნივერსალი“.

References:

Gazeti "Sakartvelo". (1918). [Newspaper "Georgia"]. 1.

T'abidze, N. (2011). P'ublitsist'ik'is sak'itkhebi. [Issues of Journalism]. Tbilisi: „universali“.